

ათი მცნებისა და ათი პატიმრის
ურთიერთმიმართება ნოდარ დუმბაძის
რომანში „თეთრი ბაირაღები“
CORRELATION OF TEN COMMANDMENTS AND
TEN PRISONERS IN NODAR DUMBADZE'S
‘TETRI BAIRAGHEBI’ (THE WHITE BANNERS)

გიორგი ხორბალაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Giorgi Khorbaladze
Gori State University
Gori, Georgia

ABSTRACT

Nodar Dumbadze's work is notably captivating and stands out for its high artistic value and originality, as well as its scholarly significance. It is important to acknowledge that a comprehensive exploration of this unique artistic world has not yet been undertaken. Currently, we are in the process of compiling a comprehensive monograph that delves into various intriguing aspects of the writer's oeuvre and addresses many unresolved issues through fresh interpretations. Certain sections of this work have already been published in various scholarly journals. In this essay, we focus on one particularly thought-provoking aspect of Dumbadze's novel 'Tetri Bairagebi' ('White Banners'). This novel is exceptionally rich in its thematic depth, drawing on Biblical paradigms and encompassing multiple layers beneath its surface narrative. One of these layers is the subject of our current essay. Specifically, our study aims to elucidate the correlation between the Ten Commandments and the ten prisoners in the novel, shedding new light on the novel's content and offering a fresh perspective on its plot.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული მწერლობა, ნოდარ დუმბაძის შემოქმედება, ბიბლიური მოტივები რომანში „თეთრი ბაირაღები“.

Keywords: Georgian Literature of the 20th century, Nodar Dumbadze's works, Biblical motifs in the novel 'Tetri Bairagebi' ('White Banners').

შესავალი

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების საფუძვლიანი კვლევა ამ დრომდე არ განხორციელებულა, დღემდე არ არსებობს კომპლექსური ნაშრომი, მონოგრაფია, სადაც მასშტაბურად იქნებოდა შესწავლილი მწერლის შემოქმედების ზოგადი ტენდენციები თუ ცალკეული საკითხები. ჩვენი მიზანია, მთელი რიგი პრობლემატური საკითხებისა თუ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ტენდენციების კვლევის შედეგად, არსებითი, გარდამტეხი ცვლილება შევიტანოთ ამ მოცემულობაში. ამ ეტაპზე, უკვე გამოქვეყნებული გვაქვს რამდენიმე ნარკვევი, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში არსებულ საკვლევ პრობლემათა თაობაზე და ვფიქრობთ, ძალზე საინტერესო შედეგები მოგვცა ტექსტების, ჩვენეული, ახლებური ინტერპრეტაციით წაკითხვამ.

ამჯერად კი წარმოვადგენთ ნარკვევს, რომელშიც რომან „თეთრი ბაირაღების“ ერთი მეტად საინტერესო და დამაფიქრებელი ასპექტი იქნება შესწავლილი. კონკრეტულად - ათი მცნებისა და ათი პატიმრის ურთიერთმიმართება რომანში. ზოგადად, დაბეჯითებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რომანის მთავარი ხაზი და სათქმელი მნიშვნელოვნად ეფუძნება ბიბლიურ პარადიგმებს და შესაბამისად, მათი გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია რომანის სრულყოფილი წაკითხვა-გააზრება. ჩვენი კვლევის შედეგებს კი სრულიად სხვა პრიზმაში გადაჰყავს რომანის მთავარი სათქმელი და განსხვავებულ აღქმას უძებნის რომანის სიუჟეტსაც.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც აღვნიშნეთ, ნოდარ დუმბაძის შემოქმედების კვლევა, განხორციელებული კვლევებისა და თავად საკვლევ შემოქმედების მასშტაბების გათვალისწინებით, ძალზედ მწირად მიგვაჩნია. ბუნებრივია ჩვენ გაცნობილი ვართ, გურამ ასათიანის, სოსო სიგუას, გურამ გვერწი-თელის, სერგი ჭილაიას, ელგუჯა მაღრაძის, მანანა კუპატაძის, ჟაკლინ სირაძის და ა.შ. სხვადასხვა დროს მწერლის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებს, რეცენზიებსა თუ ნაშრომებს, თუმცა, იმდენად რამდენადაც, ჩვენი კვლევა აბსოლუტურად განსხვავებულ გზას მიუყვება, ჩვენ არსებითად გამოყენებული გვაქვს მხოლოდ კობა იმედაშვილის წიგნი – „მონოლოგები და დიალოგები“ (თბილისი, 1982 წ.) და ანა დათუაშვილის ნაშრომი - დათუაშვილი ა., „მითოლოგიური ტრადიციები XX საუკუნის ქართულ ბელეტრისტიკაში“ (თბილისი, 2016 წ.).

მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ: ტექსტებზე დაკვირვების, ანალიზის ინტერდისციპლინარული მეთოდები, კომპარატივისტული მეთოდი, კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა.

მსჯელობა/შედეგები

დასაწყისშივე ციხის საკანში ზაზა ნაკაშიძის შესვლა მწერალს ნოეს კიდობანთან აქვს დაკავშირებული ასოციაციურად. ბუნებრივია, ამ დაკავშირებას აქვს სიმბოლური დატვირთვა და მიაწინებს ზოგადად რომანის ხასიათზე, რაც იმას გულისხმობს, რომ რომანში სიმბოლოები უთუოდ საძიებელია და მნიშვნელოვანი.

„ – სად არიან ცხოველები?

– ჩვენა ვართ ცხოველნი და პირუტყვნი და მხეცნი!

– სად არიან ფრინველები?

– ჩვენ ვართ ფრინველნი და ქვეწარმავალნი; ნულა აყოვნებ, შევედ შენ კიდობნად!

მაშინ გაიღო ბნელი და შავი სახლის დახშული რკინის კარი და მე შევედ კიდობნად...“

ბიბლიურ კონტექსტში გასათვალისწინებელია და უთუოდ არის ყურადღებები სხვა კიდობნის – ათი მცნების კიდობნის ისტორიაც, რომელიც ასევე ლოგიკურად ებმის ნოეს კიდობნის ალუზიას ნაწარმოებში და შემდგომშიც განაპირობებს ათი მცნებისა და ქრისტიანული – ბიბლიური კონტექსტების უწყვეტობას რომანში: „ღმერთმა უთხრა მოსეს: ამოდი ჩემთან მთაზე და მოგცე შენ ქვის ფილები, რომელზეც დაწერე სჯული და მცნებანი ჩემნიო. აღდგა მოსე, გაიყოლა თან თავისი მსახური ისუ ნავეს ძე და ავიდა სინას მთაზე, რომელიც ხელახლა დაიფარა ღრუბლით და შუაში ცეცხლის ალი ავარდა. მთაზე წმინდა მოსემ 40 დღე დაჰყო. მას იქ ღმერთმა უჩვენა დაწერილებითი გეგმა მოძრავი ტაძრისა, მღვდლობისა, მსხვერპლშეწირვისა. ბოლოს მისცა ორი ფილა ღვთივდაწერილი ათი მცნებით.“

იდგა ულპობელი ხისაგან გაკეთებული აღთქმის კიდობანი, შიგნიდან და გარედან ოქროთი მოჭედილი. სახურავიც ოქროსი ჰქონდა და ზედ იჯდა ორი ოქროს ქერუბინი. კიდობანში ეწყო „აღთქმის ფილები“, ანუ, ათი მცნება, კაცობრიობასთან აღთქმის კიდობნიდან მივიდა და საკანში, როგორც კიდობანში, შესვლა სიმბოლურად ათ მცნებასთან მიახლოებასაც გამოხატავს. ამასთანავე, ორმოცი დღე დაჰყო კიდობანში ნოემ, ორმოცი დღე დაჰყო მოსემ სინას მთაზე და სიმბოლურად, სწორედ ამ ორმოც დღეს განასახიერებს ნაკაშიძის საკანში ყოფნის პერიოდიც, მიუხედავად იმისა, რომ დღეების რაოდენობას არ აკონკრეტებს მწერალი. აქვე საინტერესოა, რომ თავად ნოდარ დუმბაძე გამოთქვამს მოსაზრებას რომანში ბიბლიური სიუჟეტის შემოტანის დანიშნულების შესახებ და იქვე ციტირებს სიტყვა „კიდობანის“ განმარტებასაც, სადაც აღთქმის ფილების, ანუ, ათი მცნების შესახებაც ამახვილებს ყურადღებას: „შემთხვევითი როდია ლექსიკონში კიდობანი ასეა განმარტებული – ფიცრის კოლოფი, რომელსა შინაცა იუდეანთ აქუნდათ დამარხულ ფიცარნი სჯულისანი“ (იმედაშვილი 1982: 223). ამ უცხადეს არგუმენტსაც არ დავჯერდებით, განვავრმოთ და ვნახოთ კიდევ მეტი. ამ, ე.წ. „არაჩვეულებრივ პატიმართა“ შორის ზუსტად ათი ადამიანია; რიცხვი ათი, უპირველესად, სწორედ ათ მცნებასთან ასოცირდება და მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იგი მიზანმიმართულად ფიგურირებს რომანის სხვადასხვა ნაწილში (ისევე, როგორც რიცხვი სამი).

ის, რომ თავად საკანიც მეათეა და მასში მოთავსებული ადამიანიც ათია, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს ქმნის, ამ რიცხვის მიღმა სიმბოლური დაშიფვრა ვეძიოთ – რიცხვები **სამი** და **ათი** კიდევ არაერთხელ არის შემოტანილი ისეთ კონტექსტში, როცა მათ ნაცვლად ნებისმიერი სხვა რიცხვი შეიძლება გამოყენებინა მწერალს: „მომხდარი ამბის შემდეგ, **ზუსტად მესამე დღეს**, გაზეთ „თბილისში“, იქ, სადაც გარდაცვლილთა ოჯახების, ნათესავების, მეგობრებისა და დაწესებულებათა განცხადებებს ათავსებენ, ასეთი სამგლოვიარო განცხადება გამოქვეყნდა...

...ხოლო **ზუსტად მეათე დღეს**, იმავე გაზეთში, რუბრიკის ქვეშ „კანონიერების სადარაჯოზე“ შემდეგი შინაარსის სტატია გამოქვეყნდა!“ სწორედ ამ ორი ციფრის (რომელთა მონაცვლეობითი დომინაცია თან გასდევს რომანს) დასახელებით გადავდივართ ძირითად სიუჟეტზე ათკაციან მეათე საკანში; ამდენად, ცხადია, რომ რიცხვი ათი ვერ იქნება შემთხვევითი.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამ შემთხვევაშიც რიცხვი სამი სამეზასთან ასოცირებას იწვევს, ისედაც და, განსაკუთრებით კი, საერთო კონტექსტის გათვალისწინებით, რამდენადაც შემდგომშიც არაერთგზის ფიგურირებს ეს ორი რიცხვი. მაგალითად, ას მეათე მუხლით არის აღძრული საქმე ნაკაშიძეზე, „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულების მიმდინარეობა“, კიროვის 10-ით იყო აწყობილი“ და დევდარიანის მონათხრობითაც „ბაბალიკაშვილი ეფრემა, ნაჯიბგირალი, (მასთან) ერთად დარბოდა 10 ნომერ ტრამვაიზე.“

თითოეულ ამ შემთხვევაში ნებისმიერი სხვა რიცხვის გამოყენება არაფერს შეცვლიდა, გარდა იმ მოცემულობისა, რაზეც ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას. რა თქმა უნდა, მწერალი მინიშნებას თავად არ განმარტავდა, უფრო მეტიც, სულ სხვა ახსნას შესთავაზებდა მკითხველს: „გოგოლო, რამე პრეტენზიები ხომ არა აქვს მეხუთე-მეათეს? მეხუთე მეათე, მეხუთე სართულსა და მეათე საკანს ნიშნავს, სართულების თვლა კი სარდაფიდან იწყება“ – წერს ავტორი და თითქოსდა განმარტებით, პირიქით, სწორედ ინტერესს აღძრავს – რამე სხვაც ხომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო „მეხუთე მეათე“? ამ კითხვას ქვემოთ ვუპასუხებთ, ამჯერად კი ორმაგი კოდირებიდან ერთს დავჯერდეთ – კვლავ რიცხვი ათის ხსენებას და ათ მცნებასთან ბუნებრივად წარმოქმნილ ასოციაციას. ვნახოთ, რიცხვი ათის მიზანმიმართულად ხშირი ხსენების გარდა, კიდევ რა მიგვანიშნებს ათ მცნებაზე.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ რომანში არსებულ ბიბლიურ-ქრისტიანულ პარადიგმებთან დაკავშირებით აქამდეც ყოფილა გამოთქმული მოსაზრებანი, თუმცა შემდგომ არც ერთი მკვლევარი არ ჩაულრმავდა კონკრეტიზაციას და საკითხი დარჩა ალღოს დონეზე გაკეთებულ ზოგად მოსაზრებად. მაგალითად, კობა იმედაშვილის კრებულში „მონოლოგები და დიალოგები“ შეტანილია ნაარკვევი „მითი და თანამედროვე ქართული პროზა“, სადაც ავტორი წერს: „როდესაც მე ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“ მითისა თუ ბიბლიის მოდელები დავძებნე, ზოგმა (ლ. ანინსკიმ, რომელიც ხელნაწერში იცნობდა ჩემს წერილს, გ. გვერდწითელმა) თუ მხარი დამიჭირა, ზოგმა (ლ. ნოვიჩენკო)

საკმაოდ მკაცრად გამაკრიტიკა კიდეც. რა თქმა უნდა, ყველაფერზე საბოლოო პასუხს თვით მხატვრული ტექსტი იძლევა, მაგრამ როდესაც მისი წაკითხვის დროს აზრთა პრინციპული სხვაობა იჩენს თავს, ვფიქრობ, მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების ავტორის განმარტებასაც. შარშან „მნათობში“ და წელს „ვოპროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე (№1) გამოქვეყნდა ჩემი საუბარი ნოდარ დუმბაძესთან, სადაც სწორედ მასთან მისი მიმართება იყო გამოვლენილი“ (იმედაშვილი 1982: 222). შემდგომ, იმოწმებს მწერალთან გამოქვეყნებულ ინტერვიუს, სადაც ნოდარ დუმბაძე პასუხობს, რომ მითოსისა და ბიბლიის გამოყენება ლიტერატურაში ახალი არ არის. ამას ჩვენს ლიტერატურაში დიდი და შორეული ტრადიცია აქვს. მწერალს მითოლოგიური და ბიბლიური თემების, სენტენციებისა და დოგმების გათანამედროვეება საინტერესოდ მიაჩნია, ადამიანის ბუნების სტაბილურობის გათვალისწინებით.

ჩვენი კვლევისთვის საინტერესოა, ასევე, ანა დათუაშვილის სადისერტაციო ნაშრომში: „მითოლოგიური ტრადიციები XX საუკუნის ქართულ ბელეტრისტიკაში (ტიპოლოგიური პარალელები)“ გამოთქმული მოსაზრება, რომ: „რომანის სივრცე, რომელიც ერთი შეხედვით, ყოფითია, მთლიანად მითოლოგიზირებულია. სიუჟეტის თანახმად, ახალგაზრდა ადამიანს, ცრუ ბრალდების გამო, ...მოუწევს წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნა. მისი თანამესაკნეები ადამიანთა სხვადასხვა ცოდვას განასახიერებდნენ: მკვლელი, ქურდი, სპეკულიანტი, მრუში, ცილისმწამებელი და ა.შ. ორმოც დღეს ატარებს ამ განსაწმენდელში ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი და ამ დროის განმავლობაში ფიქრობს ადამიანური ყოფიერების პრობლემებზე. საკანში ცოდვილნი ცოდვილებს ასამართლებენ და განაჩენი, ზოგჯერ, დაუნდობელია...“ (დათუაშვილი 2016: 82). ანა დათუაშვილიც ამ მსჯელობას, გარდა რომანის სიუჟეტისა, თავის მხრივ, ნოდარ დუმბაძის მოსაზრებაზე აფუძნებს, ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ინტერვიუს გათვალისწინებით. ამდენად, მკვლევარს სწორი მიმართულება განუსაზღვრავს, თუმცა რადგან მისი კვლევის ძირითადი მიზანი მითოლოგიური გააზრებით დაკვირვებას საჭიროებდა, საკითხს მეტად აღარ ჩაღრმავებია, რაც ჩვენს შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენს, რამდენადაც ტერმინი „ცოდვილი“ გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ჩვენ უნდა ვკონცენტრირდეთ. ქრისტიანულ ცოდვათა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ამ თვალსაზრისით ყოველი ადამიანი ცოდვილს წარმოადგენს, თუმცა მკვლევარს სწორ მიმართულებას კარნახობს ალლო და იგი ნებისთნეულ უნებლიეთ, არა ზოგადად ცოდვათა სახეობებს, არამედ ძირითადად ათი მცნებიდან გამომდინარე ცოდვებს დაასახელებს (სულ ჩამოთვლის ხუთს, საიდანაც, გარდა სპეკულიანტისა, დანარჩენი ოთხი მცნებებთან შესაბამისობაშია) სწორი მეცნიერული ინსტინქტის წყალობით, რაც თანხვედრაშია აღნიშნულ საკითხზე ჩვენს მოსაზრებასთან, თუმცა თავს ვალდებული ვიქნებით ხაზგასმით დავაკონკრეტოთ, რომ ზოგადად ცოდვილნი არ არიან თავმოყრილნი საკანში, იქ ზუსტად ათი ადამიანია და თითოეული მათგანი დაკავშირებული და ასოცირებულია ათი მცნებიდან ერთ-ერთთან. ყოველი მათგანი (არც ერთის გამოკლებით) ან ათი მცნების დამრღვევია, ან ის არის, ვის მიმართაც ათი მცნება დაარღვიეს,

ხოლო ამდაგვარ ორ კატეგორიად დაყოფა აბსოლუტურად გააზრებით არის შექმნილი და მის არაშემთხვევითობის დასტურსაც მოგვიანებით რომანიდანვე შევახსენებთ მკითხველს.

მაშ ასე, როგორც ვთქვით, საკანში ათი პატიმარია. ვინ არიან ეს პატიმრები? ძირითადად ცოდვილნი, რომელთა მიმართაც, გარდა სახელმწიფო სამართლისა, უფლის სამართალსაც თავისი აქვს მოსაკითხი.

დავიწყოთ **პირველი** მცნებით – „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“.

ზემოთაც ვმსჯელობდით, რომ რომანის მოქმედების არეალი სიმბოლური მნიშვნელობისაგა და ასოცირდება უფლის სამსჯავროსთან. ბუნდოვან ამბებში გახვეული გიგლა მოშიაშვილი პირველ მცნებას ხელაღებით არღვევს. მოშიაშვილს იმ ხალხისა სწამს, ვისი მფარველობითაც „საქმოსნობდა“, როგორც ჩანს, „მთელი შეგნებით“ ემსახურებოდა სწორედ მათ და უფლისადმი სამსახური არც გახსენებია. მათვე სცნობს როგორც „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ და მათდამი გაწეული სამსახურისათვის მათივე სწამს და ეიმედება. ეს ხალხია მისთვის ყოვლისშემძლე მითიური ძალა და სამსჯავროსგან თავის არიდებისაც მათივე იმედით სწამს, თანაც ისეთი აბსოლუტური რწმენით. ამიტომ, მართალია, მას უშვებენ საკნიდან, მაგრამ მოშიაშვილი მათ შორისაა, ვისაც არც ღვთის რწმენა, არც სინანულის განცდა არ აქვს, მთავარი სამსჯავროც წინ ელოდება...

მეზურიშვილი, რომელსაც სხვაც არაერთი ცოდვა აძევს კისერზე, უფლის სახელით, ჰუმანური იდეოლოგიის ნიღბით, საფლავებს ყიდის. არღვევს **მეორე** მცნებას: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანი-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ“ – მომხვეჭელობა უქცევია ცხოვრების „საზრისად“, ფული გაუკერპებია, ამიტომაც წამოსძახებს გოგოლი მეზურიშვილს ღმერთის გაყიდვასაც: „ახლა რომ ჯვარი გკიდია გულზე და ქრისტეს სახელით ქრთამს ართმევ საფლავში გაჭირვებულ ხალხს, ის არ ხარ?“ იქვე ასეთ კითხვასაც უსვამს გოგოლი: „ათი ცნება თუ იცი შენ, მეზურიშვილო? ქრისტეს ათ ცნებას გეკითხები!“ მანამდე კი, მის განაცხადზე, რომ: „საერთოდ, ჯვარი ეკიდება გულზე თუ აგური, ეგ [მისი] საქმეა“, ასე უპასუხებს: „არ არის მაგი მარტო შენი საქმე, მეზურიშვილო!“

...საკუთარი სული რომ წაიწყმიდე, ახლა ჯვარი გინდა, წაბილწო?

– მე კონსტიტუციის ძალით ვარ უფლებამოსილი, მწამდეს ღმერთი! – იყვირა მეზურიშვილმა.

ამას იგივე კაცი ამბობს, ვინც, როგორც თავად აღნიშნავს, „მე თავის დროზე, ვიდრე გამწირავდნენ, ნამდვილი პარტიული ვიყავი“.

ზემოთ მოყვანილი დიალოგი და დიალოგის ის ნაწილიც, რომელსაც აქ სრულად ვერ დავიმოწმებთ, ნათელს ჰფენს ავტორის ჩანაფიქრს, რომ მეზურიშვილისგან ჯვრის ტარება, ღმერთის ხსენება პერსონაჟის საქციელთან, შინაგან მრწამსთან თავსებადობაში ვერ მოდის. გარდა ამისა, წარმოდგენა არ აქვს რწმენის შინაარსსა და მნიშვნელობაზე, როცა სჭირდება, ნამდვილი პარტიულია და როცა სჭირდება – მორწმუნე, ანუ, რწმენით კი არა, პირადი საჭიროებით განსაზღვრავს, როდის რა აღიაროს, ამგვარი „რწმენა“ კი სწორედ კერპთაყვანისმცემლობაა ისევე, როგორც ამ შემთხვევაში – „ჭეშმარიტი პარტიულობა“.

მეზურიშვილს აგურისა და ჯვრის გულზე ჩამოვიდებას შორის სხვაობაც არ ესმის, უბრალოდ იცის, რომ შეუძლია სურვილისამებრ აირჩიოს, შინაგანად, თავისი პიროვნული მრწამსით არის მიდრეკილი იმისკენ, რომ: „ჰქმნა(ს) თავისა ... კერპნი (და) ყოვლადვე მსგავსნი“.

„არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისაჲ ამოსა ზედა“ – ასეთია **მესამე** მცნება. ჭიჭიკო გოგოლი კი, რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცემისათვის დაუჭერიათ, უფლის სახელის „ამოსა ზედა“ მომხსენიებელიც არის, კონკრეტულ დროს:

„ეს მეორე – შენი გაყიდული ღმერთის სახელით! – გოგოლმა მეორე სილა გააწნა მეზურიშვილს და ჯვარი ჩამოგლიჯა, – არ ხარ ამის ტარების ღირსი შენ!“

მართალია, მორალური სიმაღლე გოგოლის მხარესაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას არ აქვს უფლება ღმერთის სახელით ვინმე განიკითხოს, მით უფრო სცემოს.

პერსონაჟი დევდარიანი ქურდის „სტატუსს“ ატარებს, ამავე „სტატუსით“ სარგებლობს გულოიანიც, თუმცა ერთი საინტერესო განსხვავებაა მათ შორის: გულოიანი, ცხოვრების რომანში აღწერილ ეტაპზე, ქურდობისთვის კი არა, მკვლელობისთვის იხდის სასჯელს, ხოლო ის კონკრეტული დანაშაული, რამაც დევდარიანი მოახვედრა სხვათა გვერდით, არსად ჩანს. ქურდი რადგან არის, აპრიორი არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქურდობისთვის არის დაჭერილი – ეს გულოიანის მაგალითმა ნათლად აჩვენა.

რატომ ტოვებს ღიად ამ თემას მწერალი? განვიხილოთ ეს შეკითხვა მომდევნო (**მეოთხე**) მცნების კვალდაკვალ: „მოიწსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისაჲ“.

ბუნებრივად ისმის კითხვა – რა შუაშია აქ დევდარიანის პატიმრობა? დაპატიმრების მიზეზს ასე ვერ მივაგნებთ, სამაგიეროდ, გავარკვევთ, რომელი მცნების დარღვევასთან დაუკავშირებია დევდარიანი ავტორს. პერსონაჟის მონათხრობი გავიხსენოთ, სადაც ის კბილის ექიმთან არშემდგარი გაძარცვისთვის მისვლაზე საუბრობს: „შაბათი დღე იყო, მიღება ჰქონდა. საქმეზე მარტო წავედი“.

შესანიშნავად გვესმის, რომ ჩვენი მოსაზრება მეტ დასაბუთებას საჭიროებს და ამ ვარაუდის გასამყარებლად კიდევ ორ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. დავესესხებით შესაბამისი მცნების განმარტებას საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებგვერდიდან: „ბიბლიაში წერია, რომ ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი დალოცა იგი, აკურთხა და საქმისგან დაისვენა. ეს მეშვიდე დღე იყო შაბათი. ქრისტიანები უქმობენ კვირას, რადგან კვირა იესო ქრისტეს აღდგომისა და ჩვენი ხსნის დღეა“.

რომანში ცალკე შაბათი დღე ერთხელ არის ნახსენები და პასაჟი უკვე გავახსენეთ მკითხველს, ასევე, ცალკე, მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები კვირა (დღის მნიშვნელობით) და იქაც, შესაბამის წინადადებაში, აშკარაა კავშირი უქმედღის დანიშნულების შეხსენებასთან: „ათასწაირია ჰუმანიზმი. ვიდრე დამაპატიმრებდნენ, ერთ კვირადღეს მე და ჩემი მეგობარი ნოდარ

ებრალიძე ბეთანიაში მივდიოდით ფეხით“ – იხსენებს პერსონაჟი და ამ ორი მონაკვეთის გაერთიანებით შეპირისპირდება, რა უნდა კეთდებოდა შაბათს და კვირას და რა – არა...

ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ცალკე მხოლოდ ამ თითო შემთხვევისას არის ნახსენები როგორც შაბათი, ისე კვირა, თუმცა ორივე მათგანი არის ნახსენები კიდევ ერთხელ, მეორედაც და უკვე ერთად.

„ორი თვეა, შაბათისა და კვირის გამოკლებით, ხან ყოველდღე, ხან დღეგამოშვებით მოდის და ერთსა და იმავე შეკითხვებს მაძლევს“, – ამბობს გამომძიებლის შესახებ ნაკაშიძე და, ერთი მხრივ, კონტექსტურად გააერთიანებს შაბათსა და კვირას, ხოლო, მეორე მხრივ, აქაც მიანიშნებს უქმე დღეების შესახებ. სამივე შემთხვევის ერთად გააზრება, ჩვენი აზრით, უკვე წარმოადგენს საკმარისი არგუმენტების ლოგიკურ ერთობლიობას ჩვენი მსჯელობისათვის და რადგან მწერალი ყველგან, სადაც კი ახსენებს რომანში შაბათ-კვირას, გულისხმობს უქმე დღეებს, ვფიქრობთ, დევდარიანის წასვლა „საქმეზე“ სწორედ შაბათს, რა თქმა უნდა, მცნების დარღვევადაც ექნებოდა გააზრებული ავტორს.

გავაგრძელოთ კვლევა და ვნახოთ, ვისთან კავშირში მოიაზრებს მწერალი **მეხუთე** მცნებას: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რადთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა“.

რომანში დედის სახეს ზაზა ნაკაშიძის დედაქმნის, მასთან მიმართებით შვილის უპატივცემულო დამოკიდებულება არაფრით იკვეთება.

მამის სახეს ბატონი ისიდორე წარმოადგენს, რომელიც შეურაცხყოფილი მამაა, მან დამცირება ვერ აიტანა და უნებლიეთ დაედო მძიმე ცოდვა.

შეურაცხყოფელ დამოკიდებულებას აგვირგვინებს სიძესთან კონფლიქტის ფინალური ნაწილი: „გაეთრიე გარეთ! – მიღრიალა მან, როდესაც დამინახა და ფეხზე წამოდგა. – გაეთრიე გარეთ, შენი ბებერი ოხერი დედა ვატირე! – გაიმეორა ...მერე, როდესაც გონს მოეგო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დამარტყა და იატაკზე დამაგდო“.

ეს, რა თქმა უნდა, უპატივცემულობის უკიდურესი გამოხატვაა; მართალია, ისიდორეს არა შვილი, არამედ სიძე აყენებს შეურაცხყოფას და სიძე ექცევა ამგვარად, მაგრამ საბოლოოდ ისიდორეს მიერ ჩადენილი დანაშაულის წინაპირობები და დეტალები პერსონაჟს სრულად ათავსებენ მამის ამპლუაში და იგი წარმოჩნდება, როგორც სახე პატიოსანი და შვილის მოყვარული მამისა, რომელიც, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სწორედ კარგი მამობის მიზეზით მოხვდა იქ, სადაც იმყოფება. ამდაგვარ აღქმას განაპირობებს ისიც, რომ იგი სწორედ შვილის გამო იღებს თოფს ხელში, ანუ მკვეთრდება მისი, როგორც მამის, ამპლუა. ასევე, ყურადსაღებია, რომ, მართალია, მისი შვილი თავადაც მსხვერპლია, მაგრამ მსხვერპლად გადაქცევამდე, ანუ, მანამ, ვიდრე პირადად არ ეხება პრობლემა, როგორც ჩანს, გარკვეულწილად ქმრის თანამოაზრეა, რაც იკვეთება ისიდორეს მიერ გაცემული პასუხიდან: „სამართალში მიცემულო, თქვენი ქალიშვილი თუ ეკითხებოდა თქვენს სიძეს, ფული საიდან მოგაქვსო? – საუბედუროდ, ცოლები არ ეკითხებიან მაგას ქმრებს!“ და, ასევე, სიმამრისადმი სიძის ნათქვამშიც: „რომელ წუთში გაგძვრება სული, არ ვიცით მე და შენმა ქალიშვილმა“.

აქ სიძე და ქალიშვილი ჯერ კიდევ „ერთი მხარეა“, რამდენადაც ამ პასაჟში კონფლიქტის საწყის ეტაპს იხსენებს პერსონაჟი. ნებისმიერ შემთხვევაში მისი ამპლუა და ფაქტობრივი მდგომარეობა კრავს უპატივცემულოდ მოპყრობილი მამის სახეს, წარმოაჩენს მამა-მსხვერპლს, რომელსაც განზრახ არ ჩაუდენია დანაშაული და მაინც ისჯება. ამავე მცნების მნიშვნელობაზე მიუთითებს ნაკაშიძის კამათი გამომძიებელთან: „პატიოსან სიტყვაზე, – გაიმეორა გამომძიებელმა, – სამართალი ისეთი რამეა, ნაკაშიძე, პატიოსან სიტყვაზე ძმას და მამას ვერ ვენდობი.

– მაშინ აღარც ძმა არსებობს, აღარც მამა, აღარც დედა, აღარც შუბლი და აღარც ძარღვი?“

რამდენადაც „პატიოსან სიტყვას“ გაცილებით უფრო ღრმა და განსხვავებული დატვირთვა აქვს რომანში, დიალოგის ამ ნაწილშიც, ვფიქრობთ, მწერალი მეხუთე მცნებასაც იხსენებს.

მეექვსე მცნების – „არა კაც-ჰკლა“ დამრღვევი ტიგრან გულოიანია და ეს ნაწილი დამატებით მსჯელობას არც საჭიროებს. რომანში არაერთგზის არის სწორედ ათი მცნებისეული ლექსიკით ნათქვამი, რომ მან „კაცი მოჰკლა“ – შესაძლოა სიტყვათა სხვა კომბინაცია გამოეყენებინა ავტორს (მკვლევლობა, სიცოცხლის ხელყოფა, „კაცის“ ნაცვლად – „ადამიანი“ და ა.შ.), მაგრამ დემონსტრირებულად რამდენიმეჯერ სწორედ „კაცის მოკვლა“ ნახსენები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მცნებასთან კავშირში სწორედ გულოიანია მოაზრებული.

ვნახოთ, ვინ წყვილდება **მეშვიდე მცნებასთან** – „არა იმრუშო“.

ჭეიშვილი ერთობ უცნაური საქმისთვის დაუჭერიათ, ის არ უხდის „შვილებს“ ალიმენტს, მაგრამ სრულიად დარწმუნებულია, რომ ბავშვების მამა თავად არ არის, შესაბამისად, გამოდის, რომ, როგორც დევდარიანი ამბობს, მისი ცოლი მრუშია. ამას მხოლოდ ჭეიშვილის მიერ ბავშვების მამის დაუდგენლობასთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები არ მიგვანიშნებს, ამ მხრივ საყურადღებოა ჭეიშვილის ე.წ. საპროტესტო „კატეგორიული მოთხოვნა-განცხადებიდან“ ერთი წინადადებაც, სადაც იგი ცოლის შესახებ წერს: „ჩემი მომავალი ცხოვრება დავუკავშირე სხვა ეროვნების, ერთი შეხედვით სანდომიანი სახის და თვინიერი ხასიათის მქონე, ჩემივე ასაკის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსმოსმენილ ასულს, შეგნებულად ვიკავებ თავს ისეთი სპეტაკი გამოთქმებისაგან, როგორიც არის „ქალწული“ და თუნდაც „მანდილოსანი“, რისთვისაც დავკარგე ნათესავები და მშობლები“. ანუ, ჭეიშვილის ცოლის შესახებ ჯერ კიდევ მათ დაოჯახებამდეც „რადაც“ საკმაოდ ცნობილია, მათ შორის პერსონაჟის ნათესავებისთვისაც. ამდენად, დევდარიანის „ხუმრობა“ დასაბუთებულ შეფასებადაც გამოიყურება. ჭეიშვილის ცოლისგან მეშვიდე მცნების დარღვევა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უფლის წინაშე ცოდვაა, ხოლო მეორე რიგითობით – ქმრის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ანუ, მეშვიდე მცნება ჭეიშვილთან ასოცირდება, მიუხედავად იმისა, რომ მას მრუშობაზე არ ასამართლებენ.

მერვე მცნებასთან – „არა იპარო“ მიმართებითაც ყველაფერი სრულიად ნათელია; შოშია თავად სვამს ამ საკითხის განხილვაში წერტილს: „მე, რა, მაგათზე ნაკლები ქურდი ვარ, მაგათზე ნაკლებს ვიპარავდი თუ რა?

– მოუმატა ხმას შოშიამ და მტვერი ფეხებში მოგვყარა მე და ტიგრანას“. სწორედ იგია მერვე მცნების დამრღვევი რომანში და არა „ქურდი“ ტიგრანა ან „ქურდი“ ლიმონა.

პარადოქსულია, მაგრამ შოშიას გონებაში იმდენად ღრმად არის გამჯდარი „მილიონ ს ჩემტას“ მოპარვის სიამაყე, რომ ეს განცდა მიღებულ სასჯელსაც კი ფსიქოლოგიურად უმსუბუქებს. შოშიას, მეზურიშვილივით, ფულის სიყვარული და მისი გაკერპება არ ამოძრავებს, მას ფულის ფლანგვა ჰგვრის სიხარულს – „მედუდუკეებთან შესაბერად“, მეძავებისთვის, „სირენას კატლეტებისთვის“ უნდა ფული და არც ჭეშმარიტ პარტიულობაზე დებს თავს და არც დიდ მორწმუნეობაზე.

მეცხრე მცნებას რაც შეეხება – „არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუდითა“ – იგი, რა თქმა უნდა, მთავარ გმირთან არის დაკავშირებული. ნაკაშიძეს „შეღვათები არ სჭირდება“, ის მხოლოდ სიმართლის დადგენას ითხოვს, მაგრამ მას ასე უპასუხებს გამომძიებელი გაგუა: „სიმართლე დადგენილია, **რვა მოწმე** თქვენ გადებთ ხელს, შენ და შენს ამხანაგს. მათი ჩვენებები შენ წაკითხული გაქვს.

...ასე რომ მეჯიუტები, ესეც დანაშაულია, ნაკაშიძე!“

არანაკლებ საინტერესოა თავად ნაკაშიძის პასუხიც: „არავინ არ იცის, რა უფრო დიდი დანაშაულია, – იმ კაცის სიკვდილი თუ ჩემი უდანაშაულოდ დაპატიმრება“. ამდენად, რომანში მეცხრე მცნება მთავარ გმირთან მიმართებითაა დარღვეული და რომანის საბოლოო გეზსაც სიმართლის იდეის გამარჯვებისკენ მივყავართ.

თანმიმდევრულმა ანალიზმა, ათი მცნებიდან თითოეულის შეპირისპირებამ თითო მსჯავრდებულთან, მიგვიყვანა იმ შედეგამდე, რომ დაგვრჩა ერთი მსჯავრდებული – გამცემლიძე და ერთი მცნება – **მეთათე**: „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რადცა იყოს მოყუასისა შენისა“.

ვნახოთ, რა აკავშირებს გამცემლიძეს ამ მცნებასთან. რომანში ვკითხულობთ: „ვიაჩესლავ რაჟდენის მეგამცემლიძე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, მივიდა ჭავჭავაძის პროსპექტ №761-ში მდებარე თავისი მეგობრის, ვახტანგ კირილეს ძე გამყრელიძის ბინაში (რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება) და მის მეუღლეს ელენე აბიბოს ასულ გაჟონიას გადასცა ფული 100 მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც დაზარალებული გაჟონია უჩვენებს ბრალდებულ გამცემლიძეს, როგორც ადრე მისი მეუღლის უახლოეს მეგობარს, ადრეც აღმოუჩენია დაზარალებულისთვის მატერიალური დახმარება, მაგრამ, ამჟამად, 100 მანეთის საფასურად, ანუ სანაცვლოდ ბრალდებულმა გამცემლიძემ დაზარალებულ გაჟონიას მასთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარება შესთავაზა“. გამოდის, რომ დარჩენილი მსჯავრდებული და მეთათე მცნება არათუ კავშირშია ერთმანეთთან, გამცემლიძის მსჯავრი პირდაპირ ააშკარავებს მის უზნეო, მცნების დამრღვევ გულისთქმას.

აქვე დავძენთ, რომ პერსონაჟთა ათეულისა და ათ მცნებასთან მათი მიმართების შესახებ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებებში, ბუნებრივია,

არსებობს გარკვეული ინდივიდუალური ბალანსი, ანუ ყოველი მათგანის მიმართება სხვადასხვა სიმკვეთრით არის წარმოდგენილი რომანში, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივი ამბავია, რამდენადაც სქემა თუ ქარგა, რომელსაც თავდაპირველად დასახავს მწერალი, წერის ურთულესი პროცესისას გარკვეულ ცვლილებებს უცილობლად განიცდის. მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ჯეიმს ჯოისს თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით გეგმაში ჰქონდა, რომ „ულისეს“ ტექსტი მაქსიმალურად გაჰყოლოდა ჰომეროსის „ოდისეას“ სიუჟეტურ ქარგას, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სამუშაო პროცესში პირველადი გეგმის განუხრელი დაცვა აღარ გამოვიდა და ჯოისმაც, საჭიროებისამებრ, თავისუფალი კორექტივები შეიტანა რომანის შემდგომ განვითარებაში. ამდენად, მომავალი ნაწარმოების ტექსტი, რა თქმა უნდა, არც თავად ავტორს მიეწოდება მზა სახით, რაც იმას გულისხმობს, რომ ტექსტის ფორმირების პროცესში გარდაუვალია ამა თუ იმ ნაწილში ნარატივის ისეთი განვითარება, რასაც ავტორი საწყის ეტაპზე ვერ დაგეგმავდა; ასეთ დროს კი მწერალი არჩევს დინება მიმართოს რომანის ლოგიკური სიუჟეტური განვითარების სასარგებლოდ, ვიდრე განუხრელად დაიცვას თავდაპირველად მოაზრებული სქემა. შედეგად გარკვეული მინიშნებები უფრო ღრმად ხდება საძიებელი და სულაც ჩანასახის ფორმას იძენს, ხოლო ზოგიერთი მინიშნება სრულიად ღია და აშკარად არის გამოკვეთილი.

დასკვნის სახით შევაჯამოთ პარადიგმული კავშირი – მიმართება ათი მსჯავრდებული პერსონაჟისა ათ საუფლო მცნებასთან.

ათიდან შვიდმა მსჯავრდებულმა თითო (სხვადასხვა) მცნება დაარღვა, დანარჩენ სამთან მიმართებით კი – პირიქით, დარჩენილი სამი მცნებიდან თითო-თითოა დარღვეული, რაც კვლავ დაბეჯითებით არ გვგონია, რომ შემთხვევითი ციფრები იყოს. მთლიან რიცხვს – „ათი“ და ათიდან „სამ“ გამოწვევის მიუყვართ ისევ ორი მთავარი რიცხვის – ათისა და სამის დომინირებასთან რომანში, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ათის შემთხვევაში ათ მცნებას გულისხმობს, სამის შემთხვევაში კი – სამებას, ანუ უფალს.

ჩვენეული ნუმეროლოგიური პრინციპის შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ თავადაც სრულ თანხედრაში მოვედით ავტორისეულ რიცხობრივ დაყოფასთანაც. „შვიდი ნეტარი და სამი ზნედაცემული ანგელოზი“ – ამ ქვეთავის სათაურსა და ნარატივში, რა თქმა უნდა, მთავარი რიცხვითი განაწილებაა – ათიდან შვიდი-სამზე. ეს გამიჯვნა რაღაცასთან უთუოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რაც საკმაოდ ბუნდოვანი გახლდათ და ჩვენ მიერ ზემოთ განვითარებული კვლევის დასკვნამ მოგვცა პასუხი ამ კითხვაზეც. რაც შეეხება ეპითეტებს – ნეტარი“ და „ზნედაცემული“ – ისინი პირობითია და აშკარაა, რომ მხოლოდ გროტესკის გამძაფრების მიზნით არის პერსონაჟებთან „მინიჭებული“. ამასთანავე, ათი და სამი სრულიად გასაგებია, საიდანაც მომდინარეობს რომანში და მისი სიმბოლიზმი საყოველთაოდ არის აღქმადი ჩვენი აზრით. შესაძლოა შედარებით ნაკლებად იქნეს რიცხვი შვიდი გააზრებული, თუმცა სწორედ რიცხვი შვიდი და ხშირად კონკრეტულად „შვიდი ანგელოზის“ ხსენება განსაკუთრებულად არის მნიშვნელოვანი ახალ აღთქმაში, მეტადრე, იგი ნიშანდობლივია იოანეს გამოცხადების უმრავლეს თავებს შორის (მაგ., თავი პირველი – 4, 12; თავი მეორე – 1; თავი მესამე – 1; თავი მეოთხე – 5; თავი მეხუთე – 1, 6;

თავი მერვე – 2, 6; თავი მეთორმეტე – 3; თავი მეთხუთმეტე – 1, 6, 7, 8; თავი მეთექვსმეტე – 1; თავი მეჩვიდმეტე – 1, 3, 7, 9; თავი მეთხუთმეტე – 1, 6, 7, 8; თავი ოცდამეერთე – 9). აღნიშნული თავების დასახელებულ მუხლებში, როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად სიმბოლიზებულია რიცხვი შვიდი. ამ სახით ნახსენებია: „შვიდი ვარსკვლავი“, „შვიდი ოქროს სასანთლე“, „შვიდი სული“, „შვიდი ეკლესია“, „შვიდი ლამპარი“, „შვიდი ბეჭდით დაბეჭდული“, „შვიდი საყვირი“, „შვიდი თავი“, „შვიდი გვირგვინი“, „შვიდი წყლული“, „შვიდი თასი“, „შვიდი მთა“, „შვიდი მეფე“. გარდა ისედაც ამ შთამბეჭდავი ჩამონათვალისა, იქვე, უშუალოდ სიტყვები – „შვიდი ანგელოზი“ გვხვდება არაერთგზის. მკითხველს მხოლოდ რამდენიმეს შევახსენებთ, თუმცა ყველა მათგანი, ზემოთ დასახელებული მინიშნებების მიხედვით, მარტივად იძებნება: 8.2. „დავიხილენ შვდნი იგი ანგელოზნი, რომელნი წინაშე ღმრთისა დგანან, და მიეცნეს მათ შვდნი საყვრნი“; 15.1 „და ვიხილე სხუად სასწაული ცათა შინა დიდი და საკვრელი: ანგელოზნი შვდნი, რომელთა აქუნდეს შვდნი იგი წყლულებანი უკუანაძსკნელნი, რამეთუ მათ წყლულებათა ზედა აღესრულა გულისწყრომად ღმრთისად“; 16.1 „და მესმა ჴმად დიდი, რომელი ეტყოდა შვდთა მათ ანგელოზთა...“; 21.9 „და მოვიდა ერთი შვდთა მათ ანგელოზთაგანი...“ და ა.შ. შესაბამისად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევთ, რომ რიცხოზრივი სიმბოლიზების ბიბლიური წარმომავლობა და ათისა და სამის პარალელურად რიცხვი შვიდის შემოტანა, ჩვენი აზრით, სრულიად გასაგები ხდება და კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს აქამდე გამოთქმულ ყველა თვალსაზრისს.

ასევე, ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებებს ათ მცნებასთან მიმართებით, ვფიქრობთ, დამატებით ადასტურებს რომანში მოყვანილი პასაჟი, რომელიც მეორე და მესამე მცნებებთან გოგოლისა და მებურიშვილის მიმართების გარკვევისას გავიხსენეთ, თუმცა ამ მონაკვეთს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა გააჩნია, რადგან მწერალს იმ შემთხვევისთვის, თუ შესაბამისი აქცენტების მოძიება გართულდებოდა, განუზრახავს, უფრო მკვეთრი მინიშნება შემოეტანა რომანში: „ამოიღე ჯვარი! – უბრძანა გოგოლმა, მებურიშვილმა უბეში ჩაიყო ხელი და ოქროს ჯვარი ამოიღო, გოგოლმა ხელისგულზე დაიდო ჯვარი, ერთხანს უყურა და შემდეგ მებურიშვილს ჰკითხა: – **ათი მცნება თუ იცი შენ, მებურიშვილო? ქრისტეს ათ მცნებას გეკითხები!**

...თქვი! – მოკლედ მოუჭრა გოგოლმა და მუშტი მაღლა ასწია.

– არა კაც ჰკლა! – თქვა მებურიშვილმა და ხმა აუკანკალდა.

– ნუ გეშინია, არ მოგკლავ, მაგრამ მაგი მეხუთეა, მებურიშვილო, თავიდან დაიწყე! – დაამშვიდა გოგოლმა.

– არ იმრუშო! – მაგი მეექვსეა. თავიდან თქვი! – თავიდან არ ვიცი.

– ის მაინც მითხარი, რამდენია სახარება! – განაგრძო გამოცდა გოგოლმა.

– ოთხი, ოთხთავია! – თქვა გაუბედავად მებურიშვილმა.

– მაგი გცოდნია, კია ოთხთავია! – ამ დიალოგში უმნიშვნელოვანესია, რომ პირდაპირ მცნებების ჩამოთვლა მიმდინარეობს, რაც, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად მიზანმიმართულად აქვს გაკეთებული ავტორს, მაგრამ აქვე ერთი საინტერესო ამბავია დაშიფრული: გოგოლი მცნებების თანმიმდევრობის დაზუსტებას ითხოვს, შესაბამისად, იგულისხმება, რომ მან ზედმიწევნით იცის ეს საკითხი, მაგრამ „არა კაც კლა“ არ არის

მეხუთე მცნება, არამედ მეექვსეა და, ამდენად, „არ იმრუშო“ ასევე ვერ იქნება მეექვსე. თუნდაც ზეპირად არ ხსომებოდა, მწერალი ვერ მოახერხებდა მარტივად გადაემოწმებინა და ისე შეეტანა რომანში? ჩვენ ეს დაუჯერებლად მიგვაჩნია, რადგან სწორედ თანმიმდევრობის სიზუსტეს შეეხება დიალოგის ეს მონაკვეთი, ამიტომ გვგონია, რომ ნოდარ დუმბაძე ამ ხელოვნური „უზუსტობით“ ისევ ერთგვარ პროვოცირებას და მინიშნებას აკეთებს, რომ აქცენტი გაკეთდეს ათ მცნებაზე და სწორედ მცნებათა გააზრებით განხორციელდეს დაკვირვება რომანის ტექსტზე.

დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რომანი „თეთრი ბაირაღები“ ბიბლიურ პასაჟებსა და პარადიგმებზე აგებული რომანია, ხოლო მისი წაკითხვისას ამ ფაქტორის გააზრებლობა ამოუხსნელს ტოვებს თავად რომანის უმთავრეს იდეას. ამდენად, ჩვენ დაწვრილებით გავანალიზეთ ერთი კონკრეტული ნიუანსი, რომელიც რომანის წიაღში იკვეთებოდა, თუმცა საჭიროებდა დაზუსტებას და საკითხის საბოლოოდ სრულყოფილ გამორკვევას. შედეგად, ჩვენ, ნათელი მოვფინეთ ათი პატიმარისა და ათი მცნების ურთიერთმიმართებას და ვფიქრობთ, ამით ფართო მკითხველისთვისაც და საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისთვისაც რომანის სიუჟეტის სრულყოფილი გააზრების შესაძლებლობანი გავაუმჯობესეთ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ათი მცნება და მისი განმარტებანი <http://www.orthodoxy.ge/sakhli/10mtsneba.htm>

ახალი აღთქმა 1992: ახალი აღთქმა და ფსალმუნები. სტოკჰოლმი, 1992.

ახალი აღთქმა 2011: ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი. თბილისი, 2011.

ბიბლია 2013: ბიბლია. გამომც. „პალიტრა L“ თბილისი. 2013.

ბიბლია 2019: ბიბლია განმარტებებით. პროექტის ავტორი და რედაქტორი თამარ მამაცაშვილი, გამომც. „პალიტრა L“, თბილისი, 2019.

დათუაშვილი 2016: დათუაშვილი ა., მითოლოგიური ტრადიციები XX საუკუნის ქართულ ბელეტრისტიკაში (ტიპოლოგიური პარალელები). თბილისი, 2016.

დუმბაძე 1973: დუმბაძე ნ., თეთრი ბაირაღები. თბილისი, 1973.

დუმბაძე 2007: დუმბაძე ნ., მზიანი ღამე. თბილისი, 2007.

იმედაშვილი 1982: იმედაშვილი კ., მონოლოგი და დიალოგები. თბილისი, 1982.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი: მათეს სახარების განმარტება

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=547%3A2013-06-06-10-51-21

სახარება მათესი 2011: სახარება მათესი. თბილისი, 2011.

ფსალმუნნი 1997: ფსალმუნნი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 1997.